<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N31, 03.11.2009, მუხ.190) 57-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა.ა) „თ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს მათი ასლები.“.

ა.ბ) „კ“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა ან პროკურორის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შემდგომ, სრულად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს მათი ასლები;“.

ა.გ) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$კ^1$“ ქვეპუნქტი:

„$კ^1$) საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს მათი ასლები;“.

ბ) მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების, საქმის მასალების გაცნობის ან/და მათი ასლების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისას პროკურორი/გამომძიებელი ადგენს ოქმს ამ კოდექსის 56-ემუხლის 5^1 ნაწილით დადგენილი წესით. თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე ამის შესახებ აცნობოს დაზარალებულს და

მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები და მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს მისი ასლები.

3. ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილება შეეხება სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასა და ასლის გადაცემაზე უარის თქმას. დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასა და ასლის გადაცემაზე ზემდგომი პროკურორის უარი გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაასაჩივროს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი